www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები

2016 წელი

02.10.2017

www.geostat.ge

2.10.2017

არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები

2016 წელი

(შედარებები გაკეთებულია ფაქტობრივ ფასებში)

არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ იურიდიულ პირებს ან სოციალურ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი ინსტიტუციური ერთეულებიდან მოგების ან ფინანსური კეთილდღეობის მიღებაზე.

არაკომერციული ორგანიზაციების პროდუქციის ძირითადი ნაწილი რეალიზდება უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში. აღნიშნული არაკომერციული ორგანიზაციები იმყოფებიან თვითდაფინანსებაზე და სახსრებს ძირითადად იღებენ შემოწირულობებისა და საკუთარი წევრების შენატანების სახით. ისინი შემოსავლებს იღებენ აგრეთვე ორგანიზაციის კუთვნილი მატერიალური და ფინანსური აქტივებიდან. არაკომერციულ ორგანიზაციებს აქვთ დამხმარე კომერციული საქმიანობის უფლება.

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2016 წელს არაკომეციული ორგანიზაციების სექტორის ბრუნვის მოცულობამ დამხმარე კომერციული საქმიანობიდან 98,6 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2,7%-ით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს:

გრაფიკი №1



ბრუნვის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი მოდის ხელოვნება, გართობა და დასვენების დარგზე (26,5%), აგრეთვე, განათლების (23,1%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების (22,1%), სხვა სახის მომსახურების (10,8%) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (10,6%) დარგის ორგანიზაციებზე.

ბრუნვის მოცულობა დაახლოებით 4,4-ჯერაა გაზრდილი ტრანსპორტირება და დასაწყობების დარგში, 2,5-ჯერ პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების დარგში, 2,1-ჯერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების დარგში, 77,1% - სხვა სახის მომსახურების დარგში, 66,2% - ინფორმაცია და კომუნიკაციის დარგში, 29,9% - ხელოვნება, გართობა და დასვენების დარგში, 24,1% - წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობების დარგში.

პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვების მოცულობამ არაკომერ-ციული ორგანიზაციების სექტორში 2016 წელს 932,3 მლნ. ლარი შეადგინა (აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 18,0%).

პროდუქციის გამოშვებაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩეოდა სხვა სახის მომსახურების (28,1%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების (26,1%), ხელოვნება, გართობა და დასვენების (15,9%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (10,9%) და განათლების (9,9) დარგის ორგანიზაციები.

არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობამ 2016 წელს 52,9 ათა-სი კაცი შეადგინა, საიდანაც 53,3 პროცენტი ქალია, ხოლო 46,7 პროცენტი კაცი. აღნიშ-ნული მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით 0,3 პროცენტითაა გაზრდილი:

გრაფიკი №2



დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი – 29,0% – განათლების დარგის ორგანიზაციებზე მოდის. 26,9% - ხელოვნება, გართობა და დასვენების დარგის ორგანიზაციებზე, 12,6% - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგის ორგანიზაციებზე, 10,4% - სხვა სახის მომსახურების დარგის ორგანიზაციებზე, 7,4% - წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობების დარგის ორგანიზაციებზე, 6,4% - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების დარგის ორგანიზაციებზე, ხოლო დანარჩენი 7,3% სხვა დარგებში ნაწილდება.

დასაქმებულთაგან დაქირავებულია 51,7 ათასი (მათ შორის ქალია 53,1%). დაქირავებულთა რაოდენობა 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 2,4%.

წყარო: არაკომერციული ორგანიზაციების სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური)

შენიშვნა: გამოკვლევის შედეგებში 2011 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ჩართულია სკოლამდელი დაწესებულებები (ბაგა-ბაღები), ფასიანი სწავლების გამო, რაც ბიზნეს რეგისტრის განახლებასთან ერთად მაჩვენებელთა ზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად გვევლინება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 236 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge